ბრძანება N 04/162

162-01-4-202012111441

11/12/2020

გადაწყვეტილება

2020 წლის 30 ოქტომბრის № 01/547 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1. მომჩივანის პოზიცია

2020 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“, „კონკურენციის სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „ინტელექტ მარკეტის“ (ს/ნ404433653) (შემდგომში „მომჩივანი“) საჩივარი (რეგისტრაციის N01/547) შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლის“ (ს/ნ404513914), (ს/ნ404482608), (ს/ნ204564293), შპს ,,GK“-ს (ს/ნ 416296868) და შპს ,,უნივერსალური ბიზნეს სერვისების“ (ს/ნ404509297) (შემდგომში - ,,მოპასუხე“ ან ერთობლივად „მოპასუხეები“), მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 უნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივრის თანახმად, ფიზიკური პირი - გიორგი გაგნიძე (პ/ნ01027023991) 2015 წლიდან მის მიერ რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტების მეშვეობით მონაწილეობას იღებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ტენდერებში, რომელიც სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვას ეხება. ანალოგიურად, მომჩივანი წარმოადგენს კომპანიას, რომელიც მომხმარებელს სათარჯიმნო მომსახურებას სთავაზობს. შესაბამისად, მისი პოზიციით, მხარეები სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტები არიან.

მომჩივანის განცხადებით, მოპასუხე სხვადასხვა ტენდერში არაგონივრულად დაბალ ფასს უთითებდა, იგებდა ტენდერებს და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხდებოდა მისი შეყვანა შავ სიაში. შემდგომ აარსებდა იმავე სახელწოდების ეკონომიკურ აგენტს და განაგრძობდა ტენდერში დაბალი ფასით შესვლას და სხვა

არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელებას. კერძოდ, მომჩივანი უთითებს შემდეგ ტენდერებზე:

- **SPA160029695** - აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს მომჩივანმა და შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 404482608). სათანადო გამოცდილების დადასტურების მიზნით, ამ უკანასკნელმა წარადგინა შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლის" (ს/ნ 204564293) მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტები და სარეკომენდაციო წერილები. ასევე შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლს" (ს/ნ 404482608) წარდგენილი ჰქონდა შპს ,,ოსანის" (ს/ნ 404861235) მიერ გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და სარეკომენდაციო წერილიც. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 404482608), თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში. ამ უკანასკნელმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი და სატენდერო კომისიას დაავალა შპს „თბილისის ბიზნეს სახლსა" (ს/ნ 404482608) და შპს „თბილისის ბიზნეს სახლს" (ს/ნ 204564293) შორის დადებული ხელშეკრულებების სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა. სატენდერო კომისიამ აღნიშნული გარემოება დადასტურებულად ჩათვალა. შემდგომ მომჩივანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში, რომელმაც სარჩელი დააკმაყოფილა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დღეის მდგომარეობით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.
- **SPA150011283** - შეწყდა;
- **SPA150021376** - მომჩივანმა გაიმარჯვა.
- **SPA150014790** - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 204564293) გაიმარჯვა. მასთან დადებული ხელშეკრულება დღეის მდგომარეობით შესრულებულია და შესრულება დადასტურებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.
- **SPA150004427** - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 204564293) გაიმარჯვა. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში, მომჩივანის მითითებით, მოპასუხემ წარადგინა შესაბამისი თარგმნის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა დოკუმენტში ჩამოთვლილი ჯამში 9 დამკვეთიდან 7-მა წერილობით უარყო შპს „თბილისის ბიზნეს სახლთან" (ს/ნ 204564293) რაიმე სახის საქმიანი ურთიერთობის არსებობა.
- **SPA170014443** - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 404482608) გაიმარჯვა. მომჩივანმა სააგენტოს წარუდგინა შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლის" (ს/ნ 404482608) მიერ ტენდერში გამოყენებული პრეისკურანტი. მომჩივანის მითითებით, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 404482608) თარჯიმნის საათობრივ ანაზღაურებაში საშუალოდ 90 თეთრს უთითებდა, რის გამოც ეს უკანასკნელი ვეღარ უხდიდა თარჯიმნებს ხელფასებს.
- **SPA170012256** - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 404482608) გაიმარჯვა. მომჩივანის მითითებით, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 404482608) თარჯიმნის საათობრივ ანაზღაურებაში უთითებდა დაბალ ფასს, რის გამოც ის ვეღარ უხდიდა თარჯიმნებს ხელფასებს.
- **SPA150021376** - მომჩივანმა გაიმარჯვა. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 204564293) დისკვალიფიცირებულ იქნა ტექნიკური

დოკუმენტაციის სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, რადგანაც მან ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ვერ დაასაბუთა. თარჯიმნის მ.ხ.-ს განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს, რომ მისი ხელმოწერა არ არის მითითებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონულად ატვირთულ ხელშეკრულებაზე, თან ერთვის საჩივარს.

- **SPA150000289** - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 204564293) გაიმარჯვა. მომჩივანის განცხადებით, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლმა" (ს/ნ 204564293), თარჯიმნის, ს.ც.-ს ნებართვის გარეშე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთა ამ უკანასკნელის ბერძნული ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი, რომელიც შემდგომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ წაშალა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, რადგანაც აღნიშნულ დაწესებულებას თარჯიმანმა საჩივრით მიმართა.
- **NAT20009882** – ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა. კერძოდ, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 404482608) დისკვალიფიცირებულ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო - თარჯიმნის, ნ.ს.-ს ხელმოწერა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონულად ატვირთულ დოკუმენტზე, გაყალბებული იყო.

მომჩივანის განცხადებით, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 204564293) და შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი" (ს/ნ 404482608) 2016 წლის გამოცხადებულ სხვადასხვა ტენდერში დადებული ხელშეკრულებების არაჯეროვანი შესრულების გამო შეყვანილ იქნენ შავ სიაში, 1 წლის ვადით.

მომჩივანის მითითებით, 2018 წელს, 12 თარჯიმანს პრეტენზია ჰქონდა შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლის" (ს/ნ 404482608) მიმართ ხელფასების დაგვიანების თაობაზე. მათ მიიღეს დაპირება, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში მიიღებდნენ სახელფასო ანაზღაურებას. აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით, მომჩივანმა ტელეკომპანია იმედის 2018 წელს მომზადებულ სიუჟეტზე მიუთითა.

მომჩივანის განმარტებით, გიორგი გაგნიძე 2020 წელს პრაიმტაიმთან მიცემულ ინტერვიუში ადასტურებდა მისი კომპანიების მიერ სხვადასხვა დროს გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვების, ასევე 2016 წელს მისი კომპანიების შავ სიაში შეყვანის და 4 წლის წინ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტებს, ტენდერების ფარგლებში წარდგენილი დოკუმენტაციის გაყალბებასთან დაკავშირებით.

მომჩივანის პოზიციით, იგი არ მიიჩნევს, რომ რამდენიმე იურიდიული პირის დაფუძნება დაუშვებელი ქმედებაა. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცრუ მეწარმეობას დასჯად ქმედებად მიიჩნევს (მუხლი 193), თუმცა აღნიშნული, ზოგადი მითითებაა და მომჩივანი მოპასუხის ამ მუხლის საფუძველზე დადანაშაულებას მიზნად არ ისახავს.

მომჩივანის მითითებით, გიორგი გაგნიძემ, მისი ერთ-ერთი კომპანიის შავ სიაში შეყვანის შემდეგ, ახალი კომპანია დააარსა კანონმდებლის მიერ დადგენილი ამ სანქციისათვის თავიდან არიდების მიზნით.

1.2. მოპასუხის პოზიცია

2020 წლის 3 ნოემბრის წერილით, სააგენტომ საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაუგზავნა მოპასუხეებს.

2020 წლის 17 ნოემბერს, მოპასუხემ წერილობით (რეგ. N01/587) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს. მოპასუხე არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს და უარყოფს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს შემდეგი გარემოებების გამო:

მოპასუხის პოზიციით, გიორგი გაგნიძის მიერ დაარსებულ კომპანიებს ტენდერებში არასოდეს ერთობლივად არ მიუღიათ მონაწილეობა. შესაბამისად, მათი მხრიდან შეთანხმებული, ერთობლივი ქმედება არც ერთ ტენდერში არ ფიქსირდება.

მოპასუხის განცხადებით, მის მიერ ნებისმიერ ტენდერში დაფიქსირებული დაბალი ფასი არის ჯანსაღი კონკურენციისა და ვაჭრობის გამოვლინება. შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ისედაც უნდა დარწმუნდეს ფასწარმოქმნის ადეკვატურობაში და აღნიშნული გარემოების დადასტურების მიზნით მოპასუხეს აქვს წარდგენილი არაერთი აუდიტორული და საექსპორტო დასკნა. გარდა ამისა, მომჩივანს აქვს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების უფლება, თუ ის მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული ფასი არ არის ადეკვატური.

მოპასუხის განმარტებით, შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293) ნამდვილად იყო 2016 წლიდან 1 წლის ვადით რეგისტრირებული შავ სიაში, თუმცა აღნიშნული უნდა აიხსნას იმ მიზეზით, რომ ათასობით შეკვეთიდან ერთის შეუსრულებლობაც შეიძლება იწვევდეს შავ სიაში რეგისტრაციას. ასევე, მოპასუხეს არაერთ სახელმწიფო ტენდერში გაუმარჯვია, რაზეც მომჩივანი არ უთითებს.

მოპასუხის პოზიციით, მას არ გააჩნია დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე და საწინააღმდეგოს დადგენის შემთხვევაშიც კი, მისი მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი ვერ იქნება დადგენილი.

მოპასუხის განმარტებით, იმ დამკვეთებმა, რომლებმაც არ დაადასტურეს შესაბამისი საქმიანი ურთიერთობის არსებობა, რეალურად არასწორად დასმულ შეკითხვაზე უპასუხეს. კერძოდ, მათ წარედგინათ მათივე თარჯიმნების მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი და შესაბამისად, არავითარი საჭიროება იმის დადასტურებისა, რომ ამ დამკვეთებს შესაბამისი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ, არ არსებობდა.

მოპასუხემ წერილობით პოზიციაზე თანდართული მტკიცებულებების სახით, სააგენტოში წარმოადგინა აუდიტის დასკვნები შესაბამის ტენდერებში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურების შესახებ. ასევე მან მოიძია ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან 2018-2020 წლების პერიოდზე გამოცხადებული ტენდერების თაობაზე და აღნიშნული ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების სახით სააგენტოს დამატებით მიაწოდა, რაც, მისი პოზიციით, ადასტურებდა, რომ მოპასუხე კომპანიებს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა არ ეკავათ.

მოპასუხემ სააგენტოს ასევე წარუდგინა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების 2011-2015 წლებში გამოცხადებული ტენდერების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 34 ტენდერში მომჩივანია გამარჯვებული.

1.3. სააგენტოს მიერ მოძიებული დამატებითი ინფორმაცია

საქმისათვის არსებითი გარემოებების დადგენის მიზნით, კონკურენციის სააგენტოს მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია საქართველოში 2017-2020 წლებში სათარჯიმნო საქმიანობით დაკავებული მეწარმე სუბიექტების შესახებ, მათი იურიდიული მისამართისა და საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.

2020 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია შესაბამის ბაზარზე საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციათა შესახებ.

სააგენტოს მიერ აღნიშნული მონაცემების დამუშავების შედეგად, დღეის მდგომარეობით, შესაბამის ბაზარზე აქტიური სუბიექტების ჯამი თბილისისა და სხვა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: თბილისი - 272; იმერეთი - 21; აჭარა - 26; კახეთი - 5; შიდა ქართლი - 5; ქვემო ქართლი - 24; მცხეთა-მთიანეთი - 3; სამცხე-ჯავახეთი - 6; სამეგრელო ზემო-სვანეთი - 5; გურია - 1.

კონკურენციის სააგენტოს მიერ, მოძიებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან 2017-2020 წლების პერიოდზე, სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე გამოცხადებული ტენდერების (კლასიფიკატორის კოდი: 7954000) სტატისტიკა. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე, ზემოთ ხსენებულ პერიოდზე გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში, მოპასუხეებისგან მხოლოდ ორი ეკონომიკური აგენტი - 2017 წელს შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608), ხოლო 2018, 2019 და 2020 წლებში, მასთან ერთად შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლიც“ (ს/ნ 204564293) იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და შესაბამისი სტატისტიკის დამუშავების შედეგად, სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე, მოპასუხეების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება: 2017 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608) - 29%; 2018 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) - ერთობლივი წილი - 29%; 2019 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) - ერთობლივი წილი - 23%; 2020 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293)- ერთობლივი წილი 15%.

კონკურენციის სააგენტოს მიერ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, 2016 წლიდან დღემდე, მოპასუხე 5 ეკონომიკური აგენტის შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ, შესაბამისი მიზეზებისა და საფუძვლების მითითებით.

2020 წლის 25 ნოემბრის წერილით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, კონკურენციის სააგენტოს შემდეგი სახის ინფორმაცია მიაწოდა:

- შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 204564293), 2016 წლის განმავლობაში, შავ სიაში დარეგისტრირდა 6 ტენდერის შემთხვევაში - ამათგან 1 შემთხვევაში ხელშეკრულების

დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, ხოლო 5 შემთხვევაში - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

- შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608) 2020 წლის 5 ნოემბერს შავ სიაში დარეგისტრირდა მხოლოდ 1 ტენდერის შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.
- შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404513914), შპს ,,GK“ (ს/ნ 416296868) და შპს ,,უნივერსალური ბიზნეს სერვისები“ (ს/ნ 404509297), სააგენტოს მიერ გამოთხოვილი პერიოდის განმავლობაში, შავ სიაში არ ყოფილან რეგისტრირებულნი.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 16 სექტემბრის №7126 კანონით განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც შეეხო როგორ კანონის მატერიალურ, ასევე პროცედურულ ნაწილს. ცვლილებები ამოქმედდა 2020 წლის 4 ნოემბრიდან, კერძოდ, მომჩივანის მიერ სააგენტოში საჩივრის წარმოდგენის შემდეგ (თარიღი: 2020 წლის 30 ოქტომბერი). შესაბამისად, სააგენტო წინამდებარე დავას განიხილავს საჩივრის წარმოდგენის დროისათვის მოქმედი კანონით და პროცედურული ნორმებით იმ ფარგლებში, თუ ცვლილებები არ აუარესებს სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობას.

სააგენტოში საჩივრის წარმოდგენის და სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავს „დომინირებულ მდგომარეობას“:

დომინირებული მდგომარეობა *არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება*

დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების გზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, გზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

სააგენტოში საჩივრის წარმოდგენის და სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება:

1. ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. დომინირებული მდგომარეობის[1] ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

2.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

როგორც საჩივრის სააგენტოში წარმოდგენის დროს, ასევე, დღეს მოქმედი კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს

[1] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 16 სექტემბრის №7126 კანონით განხორცილებული ცვლილებების შესაბამისად, ასევე შეიცვლა ტერმინოლოგიურ დონეზე „დომინირებული მდგომარეობა“ „დომინანტური მდგომარეობით“ - ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ არსობრივი განსხვავება არ არის ამ ორ ცნებას შორის, დოკუმენტის შემდეგ ნაწილში მოხსენიებული იქნება კანონის მოქმედ რედაქციაში მითითებული „დომინანტური მდგომარეობა“.

მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

საჩივრის სააგენტოში წარმოდგენის დროს მოქმედი „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესის და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სააგენტოს შეფასება

საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. შესაბამისად, იმისათვის, რომ სააგენტომ კონკრეტული საჩივრის საფუძველზე დაიწყოს საქმის მოკვლევა, აუცილებელია არსებობდეს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი ნორმის დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის შემომტანი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც.

გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების

შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ მსგავს შემთხვევებშიც კი საქმის მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით კომისია სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[2] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[3] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[4] ამასთან მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.[5]

TFEU 81-ე და 82-ე მუხლების (დღეს მოქმედი შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები) შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ ევროკომისიის ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის[6] მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით შეუძლია მისი უარყოფა.“

---

[2] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), § 11.

[3] იქვ. § 12.

[4] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TJ0024&from=EN.

[5] ECJ Case C-119/97, 04.03.1999, § 86. იხ. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-119/97;

[6] ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო პირველ რიგში ამოწმებს, მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებენ თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა კი გულისხმობს, რომ საჩივარში მითითებული ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის რომელიმე ნორმას ან ნორმათა ერთობლიობას.

სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, იმ მატერიალური ნორმის არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად. მსგავს საკანონმდებლო ნორმას კი მოცემულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს კანონის მე-6 მუხლი, ვინაიდან საჩივარში აღწერილ ქმედებასთან სწორედ აღნიშნული ნორმის დისპოზიცია დგას ყველაზე ახლოს და საჩივრის საფუძველსაც კანონის სწორედ ხსენებული დათქმა წარმოადგენს.

2020 წლის 4 ნოემბრიდან, კანონის მე-6 მუხლში განხორციელებული ცვლილებებით არ მომხდარა რაიმე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაუქმება ან ახალი ქმედების შემოღება. ტერმინოლოგიური ცვლილების გარდა, ცვლილება ასევე შეეხო მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის ფორმულირებებს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლთან ზუსტი შესაბამისობის მიზნით. მომჩივანი აპელირებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტზე, აღნიშნული ქვეპუნქტების საჩივრის წარმოდგენის დროს და დღეს მოქმედი რედაქციები არის იდენტური. ამდენად, საჩივრის დასაშვებობის მიზნებისათვის, მოხდება კანონის მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების გამოყენება.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა, ხოლო, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად - წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლი მიჩნეულ იქნეს მოკვლევის დაწყების შესაბამის საკანონმდებლო საფუძვლად, აუცილებელია, დასაშვებობის ეტაპზე არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა აღნიშნული ნორმის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. შესაბამისად, **გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ**

მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.

ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ა) მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში საჩივრის წარმოდგენის და სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტში 2020 წლის 4 ნოემბრიდან განხორციელებული ცვლილება ინდივიდუალური დომინანტური მდგომარეობის განმსაზღვრელი ტერმინოლოგიის ნაწილში არის გრამატიკული და არ ითვალისწინებს რაიმე სახის არსობრივ შესწორებას. ამდენად, თანაბრად რელევანტურია, ნორმის როგორც ძველი, ასევე, ახალი შემადგენლობის გამოყენება.

რაც შეეხება ჯგუფურ დომინანტობას, დღეს მოქმედი კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, ჯგუფური დომინანტობის ნაწილში, ითვალისწინებს დომინანტობის განმსაზღვრელი საბაზრო ძალაუფლების სხვა ფაქტორების შეფასების პირობასაც, ამდენად, მიმდინარე საჩივრის დასაშვებობის მიზნებისთვის, მოხდება საჩივრის წარმოდგენის და სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კრიტერიუმების გამოყენება. კერძოდ:

- ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

- არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

- არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

როგორც ევროსასამართლომ დაადგინა (საქმე 27/76 United Brands Company v Commission), დომინანტური მდგომარეობა ფორმირდება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით, მაშინ, როდესაც ცალკე აღებული ფაქტორი დომინანტური მდგომარეობის დადგენისათვის შესაძლებელია არ იყოს გადამწყვეტი.[7] თუმცა, ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილია. ამდენად, იმის დასადგენად, მოპასუხეს უკავია თუ არა დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, ჯერ უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება და შემდგომ განისაზღვროს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი (როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად).

ა.ა.) შესაბამისი ბაზარი

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.[8]

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[9]

თავის მხრივ, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.[10] ხოლო, დროითი ჩარჩო წარმოადგენს პერიოდს, რომლის

---

[7] 66-ე პარაგრაფი.

[8] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

[9] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.2.

[10] იქვე, მუხლი 11.

განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.[11]

მომჩივანი აპელირებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებში, კერძოდ, ელექტრონულ ტენდერებში (შემდგომში - სახელმწიფო შესყიდვები) სათარჯიმნო მომსახურების მიწოდების პროცესში არასამართლიანი ფასებით ოპერირებასა და ამავე შესყიდვებში სხვა არასამართლიანი ქმედებების განხორციელებაზე. ამდენად, სადავო ქმედებას ადგილი აქვს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ როგორც მომჩივანი, ასევე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ მიწოდებული - სათარჯიმნო მომსახურება წარმოადგენს მომსახურების იმგვარ კატეგორიას, რომელიც თანაბრად არის გამოყენებული როგორც საჯარო დაწესებულებების, ასევე, კერძო კომპანიების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერაც. თავის მხრივ, მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები, მათი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებენ აღნიშნული მომსახურების მიწოდებას მომხმარებლებზე და მათ კონკურენციას შესაძლოა უწევდნენ ასევე სხვა სათარჯიმნო კომპანიებიც. თავის მხრივ, მომხმარებლები, მათი სტატუსის გათვალისწინებით, შესაძლოა სათარჯიმნო მომსახურებას იღებდნენ სხვადასხვა გზით - ზეპირად, ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების გზით და სხვა საშუალებებით. სააგენტო განმარტავს, რომ მითითებული გარემოებების დეტალური ანალიზი და ყველა შესაძლო სუბიექტის/კონკურენტის ან მომსახურების მიწოდების ფორმის იდენტიფიცირება შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის ყოფილიყო მოკვლევის ფარგლებში, როდესაც ხდება ბაზრის სრულყოფილი ანალიზი. თუმცა, საჩივრის დასაშვებობის მიზნებისათვის, დასაშვებობის ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, სააგენტო ბაზრის თავდაპირველ იდენტიფიცირებას ახორციელებს იმგვარად, რომ მაქსიმალურად თავიდან იყოს აცილებული კანონის დამრღვევი ყველა შესაძლო სუბიექტის კანონის რეგულირების მიღმა დარჩენის რისკი.

საჩივარში დასმული დავის საგანი შეეხება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სათარჯიმნო მომსახურების მიწოდების დროს განხორციელებულ სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებს. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს კანონმდებლობით რეგულირებად პროცესს, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების სრული პროცედურა, მასში მონაწილეობის პირობები, შემსყიდველი ორგანიზაციების და პრეტენდენტების უფლება-მოვალეობები, გარანტიები, აკრძალვები არის განსაზღვრული კანონმდებლობით. ამდენად, საჩივრის დასაშვებობის მიზნებისათვის, სააგენტო მოახდენს ბაზრის უფრო ვიწროდ იდენტიფიცირებას და საკითხის შეფასების დროს გაითვალისწინებს **სახელმწიფო შესყიდვებში სათარჯიმნო მომსახურების მიწოდების ბაზარზე** მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილს (ბაზრის პროდუქციული საზღვარი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ვიწროა ბაზარი, მით უფრო მეტია მასზე ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტის მიერ დაკავებული წილის მოცულობა.

---

[11] იქვე, მუხლი 13.

რაც შეეხება ბაზრის გეოგრაფიულ საზღვარს, სააგენტომ ასეთად მიიჩნია საქართველოს ტერიტორია, ვინაიდან სათარჯიმნო მომსახურების გაწევა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მოქმედ პირსა თუ კომპანიას, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. ამდენად, დასაშვებობის მიზნებისათვის, სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ბაზრის გეოგრაფიული საზღვრის მეტად დავიწროება და რეგიონების მიხედვით ჩაშლა, მით უმეტეს, რომ ამაზე აქცენტი არ ყოფილა არც მომჩივნისა და არც მოპასუხეების მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში.

დროით ჩარჩოსთან მიმართებაში სააგენტო განმარტავს, რომ ბაზარი ფუნქციონირებს უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, ამიტომ ბაზარს სპეციფიური დროითი ჩარჩო არ აქვს.

ა.ბ.) მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი

როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3 ქვეთავში აღინიშნა, სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში, მოპასუხეებისგან მხოლოდ ორი ეკონომიკური აგენტი (შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს მასშტაბით სათარჯიმნო მომსახურების მიწოდების ბაზარზე გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხსენებულ ბაზარზე, მოპასუხეების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება: 2017 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608) 29%; 2018 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) - ერთობლივი წილი 29%; 2019 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) - ერთობლივი წილი 23%; 2020 წელი - შპს ,,თბილისის ბიზნეს სახლი“ (ს/ნ 404482608 და ს/ნ 204564293) - ერთობლივი წილი 15 % . ამ მოცემულობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ მოპასუხეების წილი ბოლო 4 წლიან პერიოდში, თითოეული წლის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტში მოცემულ 40 პროცენტიან ნიშნულს. ამასთან, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ვერ აკმაყოფილებენ ვერც ჯგუფური დომინანტობის განმსაზღვრელ პირობებს - ჯამურად ბაზრის 80%-ის დაკავების პირობას (თითოეული არანაკლებ 15%).

შესაბამისად, სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის[12] მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტების მხრიდან, რომლებსაც შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა საერთოდ არ

[12] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 3 ივნისის №04/179 ბრძანება; საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის №04/15 ბრძანება; საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 მარტის №43 ბრძანება;

გააჩნიათ. ამასთან არ იკვეთება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც მოპასუხეს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ **არც ერთ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს (ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად) სახელმწიფო შესყიდვებში სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე არ უკავია დომინანტური მდგომარეობა.** მით უფრო არ იქნება მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დომინანტური მდგომარეობის დაშვების ალბათობა ბაზრის უფრო ფართოდ განსაზღვრის შემთხვევაში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით კონკურენცია გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობას ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. აღნიშნულ პროცესში ეკონომიკური აგენტები თვითონ განსაზღვრავენ იმ ქმედებათა სახეებს, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზარზე მათი პოზიციების განმტკიცებას. კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას კი წარმოადგენს ფასებთან დაკავშირებული მეტოქეობა - სწორედ კონკურენცია განაპირობებს მომხმარებლებისთვის შესაბამის საქონელსა და მომსახურებაზე მაღალ ხარისხსა და დაბალ ფასებს. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ამ პროცესში ეკონომიკურ აგენტებს მოქმედების შეუზღუდავი ფარგლები გააჩნიათ. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მომეტებულ პასუხისმგებლობასა და მოქმედების შედარებით ვიწრო არეალს განუსაზღვრავს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს და უკრძალავს მათ მტაცებლური ფასების დაწესებას.

თავის მხრივ, მტაცებლური ფასის დაწესების დროს, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი ახორციელებს პროდუქციის არასამართლიანად დაბალ ფასად მიწოდებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს კონკურენტების ბაზრიდან განდევნას და მისი საბაზრო პოზიციის გამყარებას - აღნიშნული შედეგის მიღწევის შედეგად კი ხდება ფასების გაზრდა.[13] მტაცებლური ფასების სტრატეგია გულისხმობს მოკლევადიან მოგებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმას, რაც მომავალში სარგებელს მოიტანს.[14]

გასათვალისწინებელია, რომ ბაზარზე მოქმედი თითოეული ეკონომიკური აგენტის მიზანს წარმოადგენს მისი საბაზრო პოზიციის გამყარება. ამდენად, რთულია შეფასება თუ როდის არის დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქცევა მისი სამართლიანი ბიზნესსტრატეგიის ნაწილი და როდის – კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის. საქმეებზე Hoffmann-la-Roche[15] და Michelin[16] სასამართლომ განმარტა, რომ თუ დომინანტი ეკონომიკური აგენტი ბაზარზე პროდუქციის შეთავაზებას ახორციელებს დაბალ ფასად, მაგრამ ხარჯები პროპორციულია, ეს არ არის ანტიკონკურენტული ქმედება, თუნდაც

---

[13] Ezrachi, Ariel, EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases, 3rd ed., Hart Publishing, 2012, გვ. 167.

[14] ტიგრანიანი, ჰასმიკ და ქურთაული, სოფიო, „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018, N5 (2018), გვ. 66.

[15] Case 85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission [1979] ECR 461, ECLI:EU:C:1979:36.

[16] Case 322/81, Nederlandsche Banden-Industrie-Michelin v Commission [1983] ECR 3461, ECLI:EU:C:1983:313.

აღნიშნულმა ქცევამ მისი კონკურენტების განდევნა გამოიწვიოს ბაზრიდან; თუმცა, თუ პროდუქციის შეთავაზება ხდება თვითღირებულებაზე დაბალ ფასად – ქმედება არაკონკურენტულია.[17]

საჩივარში აღწერილი ქმედება, ერთი შეხედვით, შესაძლოა აჩენდეს ეჭვებს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემადგენლობასთან, კერძოდ მოპასუხის მიერ სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში არაგონივრულად დაბალი (ე.წ. მტაცებლური) ფასების დაწესებასთან მიმართებით, რისი დადგენაც, თავის მხრივ, შესაბამის დასაბუთებასა და კომპლექსურ ეკონომიკურ ანალიზს საჭიროებს. თუმცა, აშკარაა, რომ როგორც ქართული, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ეს ქმედება შესაძლოა დარღვევად შეერაცხოს დომინანტური მდგომარეობის მქონე პირს, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ქმედების განმახორციელებელ ეკონომიკურ აგენტს არ აქვს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს და შესაბამისი რეაგირება განახორციელოს ამ ქმედებაზე, ვინაიდან დომინანტური მდგომარეობის არმქონე ეკონომიკური აგენტის მსგავსი ქმედებები სცდება კანონის მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, **სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, ვინაიდან სახეზე არ არის დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფი და მის საფუძველზე, ამ ეტაპზე მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.**

მომჩივანი, სააგენტოში წარმოდგენილ დამატებით პოზიციაში[18] ასევე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის ერთი კომპანიის შავ სიაში რეგისტრაციის შემდეგ, იმავე სახელწოდებით სხვა კომპანიის დაარსება და ზოგადად, არასამართლიანი ფასებით ოპერირება, ასევე წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 ტერცია მუხლი ითვალისწინებს კანონდარღვევის სპეციალურ სახეს - არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. თავის მხრივ, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას მიეკუთვნება ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ხსენებულ მუხლში ასევე მოცემულია ქმედებების საილუსტრაციო ჩამონათვალი. გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხეს, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით აქვს წარმოდგენილი საჩივარი კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება მიმდინარებდა სწორედ ამ კონკრეტული მუხლის ფარგლებში. ამდენად, მომჩივანის მიერ მოპასუხის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე მითითება არ წარმოადგენს საჩივრის დაზუსტებას კანონის მე-11 ტერცია მუხლის ნაწილში, ასევე, არ არის დასაბუთებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რა შემადგენლობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

---

[17] Jones, Alison and Sufrin, Brenda, EU Competition Law: Text, Cases, and Materials, 5th ed., Oxford University Press, 2013, გვ. 378.

[18] სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 01/594, 24.11.2020

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო არ თვლის მიზანშეწონილად იმსჯელოს დამატებით კანონის მე-11 ტერცია მუხლზე.[19]

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მოპასუხე კომპანიების მხრიდან კონკრეტული პირების ხელმოწერის გაყალბებისა თუ სხვა მსგავსი ქმედებების შესახებ, სააგენტო აღნიშნავს, რომ ხსენებული გარემოებების შეფასება და ანალიზი სცილდება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და შესაძლოა წარმოადგენდეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების საგანს.

სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანს არ ართმევს უფლებას, სააგენტოს მიმართოს ხელახალი საჩივრით, თუ სახეზე იქნება შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ გარემოებად შესაძლოა განხილულ იქნეს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წილის ცვლილება და დომინანტური მდგომარეობის მოპოვება, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემს, შეაფასოს კონკრეტული ქმედების შესაბამისობა კანონის მე-6 მუხლთან. ასევე, მომჩივანს აქვს უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით სააგენტოში წარმოადგინოს საჩივარი მოპასუხის მიერ კანონის სხვა მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ **საჩივარი კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, ვინაიდან სახეზე არ არის დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი (არც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების ჯგუფი), რაც საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.**

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე” სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის

[19] ანალოგიური მიდგომა არის გამოყენებული სააგენტოს „2020 წლის 16 ივნისის №01/302 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“ 2020 წლის 28 ივლისის N04/99 გადაწყვეტილებაშიც. გვ.18-19.

წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს ,,ინტელექტ-მარკეტის“ (ს/ნ 404433653) 2020 წლის 30 ოქტომბრის № 01/547 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე